საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“-ს
დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 111

08 ნოემბერი 2013 წელი

ქ. თბილისი

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების - ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ მე-5 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №225\ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ დებულების მე-3 მუხლის 1-ლი, მე-3 პუნქტების, მე-5 პუნქტის ,,ა", ,,ლ" და ,,ნ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრა განხორციელდეს შემდეგნაირად:

1.1 თამარ მემანიშვილი /იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი/:

ა) ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ (მუხლი 1);
ბ) საჯარო ინფორმაციის გვერდი (მუხლი 2);
გ) ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ (მუხლი 3);
დ) სამართლებრივი აქტები (მუხლი 6);
ე) სხვა საჯარო ინფორმაცია (მუხლი 7);

1.2 მურთაზ სიჭინავა /შესყიდვების სამსახურის უფროსი/:

ა) ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ (მე-4 მუხლის 4.1, 4.2, 4.4 პუნქტები);

1.3 ვასილ მარდალეიშვილი /ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი/

ა) ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ (მე-4 მუხლის 4.3 პუნქტი);

ბ) ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ (მუხლი 5);

2. დაევალოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირებს ინფორმაციის საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებით დადგენილ ვადებში სააგენტოს ელექტრონულ რესურსზე განთავსების უზრუნველყოფა.

3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.

4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მის. ქ.თბილისი დ.უზნაძის ქ.№52) ან/და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (დ.აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ №6).

საფუძველი: სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" იურიდიული სამსახურის უფროსის - იაკობ ღლონტის 2013 წლის 11 ოქტომბრის N465099 სამსახურებრივი ბარათი.

დირექტორი გიგა უმეკაშვილი